

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მარიამ კერატიშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და  
წარდგენის საკითხები შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის მაგალითზე



ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნადეჟდა კვატაშიძე

თბილისი

2020

## ანოტაცია

ფინანსური ანგარიშგება აუცილებელია, როგორც კომპანიის შიდა ასევე გარეშე მომხმარებლისათვის, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე უტყუარი ინფორმაციის მისაღებად.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებს. ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველ ნაწილში განხილულია თეორიული საკითხები მოცემული თემის ირგვლივ, ხოლო მეორე პრაქტიკულ ნაწილში განხილულია კომპანიის შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

ნაშრომის პირველი თავი, წარმოადგენს თეორიულ ნაწილს, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების და მასში შემავალი კომპონენტების განხილვას, ასევე ფინანსური ანგარიშგების მიზნების, მისიისა და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური ტერმინების განმარტებას, რომლებიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ნაშრომის მეორე ნაწილში აღწერილია შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ზოგადი მიმოხილვა, საქმიანობის სფერო და სტრუქტურა. განხილულია კომპანიის 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. მოყვანილია შესაბამისი მაგალითები და წარმოდგენილია ცხრილები. წარმოდგენილია თითოეული მუხლის აღრიცხვის პრინციპები და მათი შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

## ANNOTATION

Both internal and external customers of the company need the financial statements in order to be provided with the accurate information on the financial performance of the company.

This master's thesis refers to the issues of drafting and submission of financial statements. The thesis consists of two parts, the first part of which discusses theoretical issues regarding the given topic, and the second practical part refers to the financial statements of Tegeta Truck & Bus LLC.

The first chapter of the thesis is a theoretical part that includes a discussion of financial statements and their components, as well as an explanation of the aims, mission and other important financial terms of the financial statements, complying with the international financial reporting standards.

The second part of the thesis describes the general overview, field of activity and structure of Tegeta Truck & Bus LLC. The financial statements of the company for the year 2018 are discussed. Relevant examples are given and tables are presented. The principles of accounting for each item and their compliance with international financial reporting standards are presented.

## შინაარსი

შესავალი .....	5
თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და კომპონენტები.....	6
1.1 ფინანსური ანგარიშგების მიზანი და მომზადების ძირითადი პრინციპები.....	6
1.2 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები.....	9
თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის მაგალითზე ...	20
2.1 შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის საქმიანობის სფერო და მიზანი..	20
2.2 შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პრინციპები .....	22
დასკვნა .....	52
გამოყენებული ლიტერატურა.....	55

## შესავალი

დღეისათვის, იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, თავის დამკვიდრება, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და მომხმარებლის ნდობის მოპოვობა. ფინანსური ანგარიშგება ეხმარება კომპანიებს ნათლად წარმოაჩინონ საკუთარი მოღვაწეობის შედეგები, რომლებიც არსებითია კომპანიის მენეჯმენტისათვის და მნიშვნელოვანია ინვესტორთათვის, რომლებსაც აქვთ აღნიშნულ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია ან აპირებენ ინვესტირებას. თემის აქტუალურობას განაპირობებს სწორედ ის მონაცემები, რომლებიც თავს იყრის ფინანსურ ანგარიშგებაში და ის ფაქტიც, რომ ფინანსური ანგარიშგება მზადდება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც გამოწმეულია ოცდამეერთე საუკუნეში გლობალიზაციის პროცესით.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ ანგარიშგებას კომპანიებისათვის და რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სწორად მომზადება და წარდგენა. ამისათვის ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების არსი, მისი მომზადების პრინციპები და ელემენტების აღიარება და შეფასება.

სამაგისტრო ნაშრომის ბაზას წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს). ხოლო პრაქტიკული ნაწილის განხილვის ობიექტს წარმოადგენს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

# თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები და კომპონენტები

## 1.1 ფინანსური ანგარიშგების მიზანი და მომზადების ძირითადი პრინციპები

ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მიხედვით, ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგების მიზანს წარმოადგენს, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ფართო წრეს, რომელშიც მოიაზრება, როგორც საწარმოს შიდა ასევე გარე მომხმარებლები, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, ფულადი ნაკადებისა და საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ, რომელიც დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შესაბამისი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ასევე ფინანსური ანგარიშგება გვიჩვენებს, საწარმოს არსებული რესურსების მართვის შედეგებს, საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: საწარმოს აქტივები; ვალდებულებები; საკუთარი კაპიტალი; საწარმოს ფულადი ნაკადები; განაწილებები მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე; მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში; შემოსავლები და ხარჯები. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ ინფორმაციას, დაემატება განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაცია, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ექნებათ საშუალება, შეაფასონ, საწარმოს როგორც ძველი პერიოდის ფინანსური მდგომარეობა, ასევე არსებული და განჭვრიტონ მომავალში მოსალოდნელი შედეგები[2,პ.9].

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი და კონცეფციები აღწერილია ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. კონცეპტუალური საფუძვლების მიზანია, თანმიმდევრულ და ურთიერთავსებად კონცეფციებზე დაყრდნობით, დაეხმაროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს, ფასს სტანდარტების შემუშავებაში; ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც კონკრეტულ მოვლენას ან ოპერაციას,

არ ეხება სტანდარტი, ან სტანდარტი საწარმოს აძლევს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობას, დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მომუშავე პირებს თავსებადი სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრაში; დაეხმაროს, როგორც ფინანსური ანგარიშგების მომზადებლებს, ასევე მომხმარებლებს სტანდარტების გაგებასა და სწორად ინტერპრეტაციაში[1,პ.3.2-3.3].

კონცეპტუალური საფუძვლები ფუძემდებელია საბჭოსა და ფასს ფონდის მისიისათვის, რომელიც მოიაზრებს, ისეთი სტანდარტების შემუშავებას, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფს ფინანსური ბაზრების ეფექტიანობას და გამჭვირვალობას. პირველ რიგში საბჭოსა და ფასს ფონდის საქმიანობა ემსახურება გლობალური ეკონომიკის განმტკიცებას, მის ზრდას და სტაბილურობას და ასევე საზოგადოების ინტერესების დაცვას, რისთვისაც საძირკველს სწორად კონცეპტუალური საფუძვლები ქმნის, კერძოდ: ეხმარება, ბაზრის მონაწილეებს, შეძლონ გაცნობიერებული ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება, ფინანსური ინფორმაციის ხარისხისა და შესაძარისობის გაუმჯობესებით; იძლევა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აღრიცხვის საწარმოებლად და მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ორგანოებისათვის; ხელს უწყობს ინვესტორებს, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენაში[1,პ.სმ1.5].

კონცეპტუალურ საფუძვლების ბოლო რედაქციით (2020წ.) ახლებურადაა განმარტებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტები (აქტივები, ვალდებულებები, საკუთრი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები), რომლებიც შემდეგ ქვეთავში დაწვრილებით განიხილება, თუმცა ამ ქვეთავში უნდა გამოვყოთ აქტივი და ვალდებულება რომელთა განმარტებებიც გვხვდება განსხვავებულად.

„ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები“ -ს თანახმად, აქტივი ეს არის არსებული ეკონომიკური რესურსი, რომელსაც საწარმო, წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად აკონტროლებს. ხოლო ეკონომიკური რესურსი, განიმარტება, როგორც უფლება, რომელსაც ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი გააჩნია[1,პ.4.3].

ეკონომიკური რესურსის განმარტებაზე საუბრისას უნდა ავლნიშნოთ მოცემული განმარტების სამი ასპექტი, ესენია:

- უფლება (მომსახურების ან საქონლის მიღების უფლება, სხვა მხარის მოვალეობის უფლებები; ფიზიკურ ობიექტებზე უფლებები და სხვა);
- ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი (უფლება, რომელსაც აქვს სულ მცირე ერთ გარემოში, ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი, აკმაყოფილებს განმარტების კრიტერიუმებს);
- კონტროლი (კონტროლი ეხმარება საწარმოს დაადგინოს, ისეთი ეკონომიკური რესურსები, რომლებზეც საწარმოს გააჩნია ანგარიშვალდებულება)[1,პ.4.4].

ვალდებულება ეს არის, წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად წარმოშობილი, ეკონომიკური რესურსის გადაცემის მიმდინარე მოვალეობა. ვალდებულების არსებობისათვის საჭიროა სამი შემდეგი კრიტერიუმის დაკმაყოფილება:

- მოვალეობა ( შეიძლება იყოს როგორც, საწარმოს მორალური ვალდებულება, ასევე პასუხისმგებლობა, რომელსაც საწარმო პრაქტიკულად ვერ აიცილებს);
- ეკონომიკური რესურსის გადაცემა (ეკონომიკური რესურსის გადაცემა, მოითხოვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვლენა მომავალში მოხდება და თუ უკვე არსებობს მოვალეობა)
- წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე მოვალეობა (არსებობს მაშინ, როდესაც, საწარმომ უკვე მიიღო ეკონომიკური სარგებელი, რის შედეგადაც საწარმო შემდგომში გასცემს ეკონომიკურ რესურსს)[1,პ.4.26-4.27].

ფინანსური ანგარიშგება, როგორც უკვე აღინიშნა, ორიენტირებულია, რომ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებლებს, რათ მათ შეძლონ სწორი ეკონომიკური არჩევანის გაკეთება. ამის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:



- დარიცხვის მეთოდი, გულისხმობს ფინანსური ელემენტების აღიარებას, იმ მომენტში, როდესაც დაკლავოფილებული იქნება აღიარებისათვის შესაბამისი განმარტებები და კრიტერიუმები.
- საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპი, გულისხმობს რომ საწარმოს აქვს უნარი შემდგომ პერიოდში არსებობის და ხელმძღვანელობას არ აქვს გამიზნული ლიკვიდაცია.
- სამართლიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად უნდა წარმოაჩინოს საკუთარი ფინანსური მდგომარეობა.
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პერიოდულობისა და უცვლელობის პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ყველაზე მცირე წელიწადში ერთხელ მაინც და ამასთან ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას.

## 1.2 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდის ჭრილში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ქმედებების, სტრუქტურულად ჩამოწალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსური ანგარიშგება გვაძლევს სრულ ინფორმაციას საწარმოს იმ ეკონომიკური რესურსებისა და არსებული მოთხოვნების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ ფინანსური ანგარიშგების განსაზღვრებას მასში შემავალი ელემენტების შესახებ. ფინანსური ანგარიშგების ელემენტები თავის მხრივ, წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტების აუცილებელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ხუთი ძირითადი კომპონენტის სახით, ესენია:

1. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება;
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
5. სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები.

თითოეული კომპონენტი შედგება სხვადასხვა ელემენტებისაგან და მთლიანობაში ქმნის კომპანიის ერთიან ფინანსურ სურათს, აქედან გამომდინარე ძალზედ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ცალკე აღებული კომპონენტების შემადგენელი ნაწილები და მათი აღრიცხვის მეთოდები[2,პ.10].

### **მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მიხედვით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თავს იყრის ყველა ის მონაცემი რომელიც განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგს. შესაძლებელია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარმოდგენა როგორც განცალკევებულად, ასევე სხვა სრულ შემოსავალთან ერთად, რაც გულისხმობს იმას რომ მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთი, ასევე ორი ანგარიშგების სახით. აქვე უნდა ვახსენოთ პერიოდის მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია არამაკონტროლებელ წილზე და სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე.

ორ ანგარიშგებად წარმოდგენის შემთხვევაში გვექნება შემდეგი სახის ანგარიშგება:

#### **1. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**

- ამონაგები;
- ხარჯები;

საანგარიშგებო წლის მოგება.

#### **2. სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

- გრძელვადიანი აქტივების გადაფასების ნამეტის ცვლილებები;

- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი;

სულ საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი.

თუ საწარმო განცალკევებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებას წარმოადგენს, მას არ ევალება მოგების ან ზარალის გათვალისწინება იმ ანგარიშგებაში, სადაც წარმოდგენილია სრული შემოსავალი.

მოგება-ზარალის ანგარიშგება, უნდა მოიცავდეს ისეთი სახის ინფორმაციას, რომლითაც აისახება შემდეგი მუხლები:

➤ ამონაგები;

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ თანახმად, საწარმომ ამონაგები უნდა აღიაროს, იმ ანაზღაურების სიდიდით, რომლის მიღებასაც საწარმო ელის, ამ მომსახურების ან საქონლის გადაცემის სანაცვლოდ.

ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის შედეგად და იწვევს კაპიტალის ზრდას, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტიციებისაგან დამოუკიდებლად.

ხელშეკრულება ესაა, ორ ან მეტ მხარეს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც წარმოქმნის იურიდიული ძალის მქონე უფლებებს და ვალდებულებებს. ფასს 15-ის მიხედვით, ხელშეკრულება არ იარსებებს, თუ თითოეულ მხარეს აქვს იურიდიული უფლება, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტაზე, ისე, რომ არ ჰქონდეს შესრულებული ხელშეკრულების არცერთი პუნქტი და მეორე მხარეს არ გადაუხადოს არანაირი კომპენსაცია[8,პ.2-3].

➤ ფინანსური დანახარჯები;

ხარჯები ფინანსური ანგარიშგების ისეთი ელემენტია, რომელთა წარმოქმნა და ზრდა გამოწვეულია საწარმოში აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით, რაც გავლენას ახდენს საწარმოს საკუთარ კაპიტალზე, მისი შემცირებით, და არ უკავშირდება მესაკუთრეთა კაპიტალს და მის განაწილებას[2,პ.82.ბ].

საწარმო ხარჯების უკეთ აღსაქმელად ახდებს მათ კლასიფიკაციას და დაჯგუფებას, შემდეგი კანონზომიერებების მიხედვით:

- ხარჯების კლასიფიკაცია სფეროების მიხედვით;

გულისხმობს ხარჯების დაყოფას იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანობაზე იქნა ხარჯები გაწეული, ძირითად თუ დამხმარე საქმიანობაზე. შესაბამისად არსებობს საოპერაციო ხარჯები (რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები, კომრციული ხარჯები) და არასაოპერაციო ხარჯები (ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან, მატერიალური ფასეულობის დანაკლისი, საპროცენტო და სხვა ხარჯები). აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საოპერაციო ხარჯები ცალკე იყოფა ძირითად (ნედლეული ან მასალა, წარმოებაზე მომუშავეთა ხელფასი) და ზედნადებ (პროდუქციის დამზადების პროცესის მართვა ან მარკეტინგი) ხარჯებად[2,პ.99-100].

- კლასიფიკაცია ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით;

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების დაჯგუფება პასუხობს კითხვაზე: „რა დაიხარჯა და რამდენი?“, ხოლო ფუნქციური დანიშნულების მიხედვით დაჯგუფება პასუხობს კითხვაზე: „სად რა დაიხარჯა და რამდენი?“[2,პ.102].

- კლასიფიკაცია პროდუქციის თვითღირებულებისადმი დამოკიდებულების და მიკუთვნების წესის მიხედვით;

თვითღირებულებასთან მიმართებით ხარჯები იყოფა თვითღირებულებაში შემავალ, იგივე პროდუქტის, და არშემავალ, იგივე პერიოდის ხარჯებად. რაც შეეხება მიკუთვნების წესის მიხედვით დაყოფას გვაქვს პირდაპირი (ცნობილია კონკრეტულად, რომელი

პროდუქციის თვითღირებულებაში შეიტანება) და არაპირდაპირი (თვითღირებულებაში შეიტანება განაწილების გზით) ხარჯები.

- კლასიფიკაცია წარმოების მოცულობის ცვლილებაზე დამოკიდებულების მიხედვით;

კლასიფიკაციის ეს მეთოდი ხარჯებს ყოფს შემდეგნაირად:

- ცვალებადი ხარჯები (წარმოების ცვლილების პროპორციულად ცვალებადი ხარჯები);
- მუდმივი ხარჯები ( წარმოების ცვლილების მიუხედავად უცვლელი ხარჯები);
- ნახევრადცვლადი ხარჯები;
- საფეხურეობრივად ცვლადი ხარჯები.

- საწარმოს წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების მოგებაში ან ზარალში;
- საგადასახადო ხარჯი;
- შეწყვეტილი ოპერაციების ჯამური თანხა.

ხოლო სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აისახება:

- სხვა სრული შემოსავლის შემადგენელი მუხლები, რომლებიც კლასიფიცირებულია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით და გაერთიანებულია მუხლების ჯგუფად;
- წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების სხვა სრულ შემოსავალში[2,პ.103].

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბალანსი ასახავს საწარმოს ფინანსური პოზიციას, ფულადი ფორმით, დროის კონკრეტული მომენტისათვის. ბალანსში ასახულია აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსის მომზადება ხდება ფულადი შეფასების პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც გულისხმობს ბალანსის შემადგენელი მუხლების ასახვას ეროვნულ ვალუტაში, და ორმხრივობის პრინციპზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ბალანსს აქვს ორი მხარე, ერთი მხარე რომელშიც აისახება აქტივები, ხოლო მეორე განკუთვნილია ვალდებულებებისა და კაპიტალისათვის. აქედან გამომდინარე გვაქვს შემდეგი სახის ფორმულა: აქტივები=ვალდებულებები+კაპიტალი[2,პ.54].

აქტივი ეს არის წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგად მიღებული რესურსი, რომელსაც აკონტორლებს საწარმო და რომლისგანაც მომავალში მოელის ეკონომიკურ სარგებელს. აქტივების დაყოფა ხდება გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად. გრძელვადიანია ის აქტივები რომელთა გამოყენება საწარმოს შეუძლია ეკონომიკური საქმიანობისათვის არაერთ საოპერაციო ციკლზე, ხოლო მოკლევადიანია ის აქტივები, რომლებიც საწარმო გამოიყენებს ერთი საოპერაციო ციკლის პერიოდში, აქ შეიძლება მოიაზრებოდეს როგორც ფულადი სახსრები, ისევე ფულადი სახსრების ექვივალენტები. გრძელვადიანი აქტივები თავის მხრივ იყოფა მატერიალურ (მიწა, შენობა, მანქანა-დანადგარები), არამატერიალურ (ლიცენზია, გუდვილი) და ფინანსურ აქტივებად[2,პ.66].

ვალდებულება ეს არის წარსულში სამეურნეო ოპერაციების ან მოვლენების შედეგად წარმოშობილი მოვალეობა, რომლის შესრულებით ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება სხვა პირზე[2,პ.64].

ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ თანახმად, საკუთარი კაპიტალი, ეს არის საწარმოს ყველა არსებული აქტივიდან, ყველა არსებული ვალდებულების გამოკლების შედეგად მიღებული აქტივების ნაწილი. მისი ასახვა დამოკიდებულია კონკრეტული საწარმოს სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმაზე. საკუთარი კაპიტალის დაყოფა ხდება

შემდეგ ქვეჯგუფებად: სარეზერვო კაპიტალი, საწესდებო კაპიტალი, რეინვესტირებული იგივე გაუნაწილებელი მოგება, ან სააქციო კაპიტალი[2,3.78,ე].

ბალანსში მუხლების დაჯგუფება ხდება ლიკვიდურობის პრინციპის მიხედვით, რომელიც გულისხმობს მუხლების განთავსებას ლიკვიდურობის ზრდის ან კლების მიხედვით. ბასს-ის მიხედვით დაშვებულია ორივე მიდგომა.

### **ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ არეგულირებს ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების მომზადების სტანდარტებს. ფულადი ნაკადების ანგარიშგება, სხვაგვარად რომ ვთქვათ ფულის მოძრაობის უწყისი, გვიჩვენებს საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთს, ასევე ფულის მოძრაობას პერიოდის განმავლობაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების დაჯგუფება ხდება სამი სახის საქმიანობის მიხედვით, ესენია:

- საოპერაციო საქმიანობა

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების რაოდენობა არის საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარი ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს მიიღო თუ არა საწარმომ საკმარისი თანხები იმისათვის, რომ შეძლოს არსებული სესხების დაფარვა, საწარმოს სიმძლავრეების შენარჩუნება, ახალი ინვესტიციების განხორციელება და დივიდენდების გადახდა, ისე, რომ არ გახდეს საჭირო გარე წრადოებიდან დაფინანსების მოზიდვა. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრებია, მაგალიად: საქონლის რელიზაციიდან ან მომსახურების გაწევიდან მიღებული სახსრები, როიალტიდან მიღებული სახსრები, თანამშრომლებზე გადახდილი თანხა და სხვა. ასევე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ სახსრებად კლასიფიცირდება, ისეთი ფასიანი ქაღალდების და სესხების, ყიდვა-გაყიდვით წარმოქმნილი სახსრები, რომლებიც განკუთვნილია კომერციული საქმიანობისათვის და ფულადი სახსრები, რომლებიც გაიხარჯა იჯარით

გასაცემად აშენებულ ან შეძენილ აქტივებზე, თუ შემდგომში ისინი გახდა გასაყიდად გამიზნული[4,პ.13-15].

- საინვესტიციო საქმიანობა

საინვესტიციო საქმიანობიდან მიიღება ისეთი ფულადი სახსრები, რომლებიც კავშირშია გრძელვადიანი აქტივების ან ფინანსური ინსტრუმენტების, როგორც შეძენასთან, ანუ თანხის ინვესტირებასთან ასევე მათ რეალიზაციასთან, ანუ ფულადი სახსრების დაბრუნებასთან. ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა რესურსების შეძენის მიზნით და რომლებიც განუთვნილია მომავალი შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების გენერირებისათვის, ასევე მიეკუთვნება საოპერაციო საქმიანობის ფულად ნაკადებს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ხარჯები შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული, როგორც საინვესტიციო საქმიანობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები იწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივის აღიარებას. საინვესტიციო საქმიანობის ფულად ნაკადებს ასევე მიეკუთვნება ავანსად და სესხად გაცემული თანხები, ძირითად საშუალებებზე დაწეული დანახარჯები და სამეცნიერო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც შეიძლება კაპიტალიზდეს, ასევე არაკომერციული და არასავაჭრო მიზნით შეძენილი ფორვარდული, ფიუჩერსული და სხვა სახის ხელშეკრულებებით გადახდილი თანხები[4,პ.16].

- საფინანსო საქმიანობა

საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებში მოიაზრება, გარე პირებისაგან მიღებული და გადახდილი დავალიანების ძირითადი სახსრები, სესხების ემისიის ან ფასიანი ქაღალდების ხარჯზე. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრებია: საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების, მაგალითად აქციების გამოშვებით მიღებული სახსრები; ისეთი ფულადი სახსრები, რომლებიც გადახდილ იქნა მესაკუთრეთათვის აქციების გამოსყიდვის ან მათი შეძენის მიზნით; სესხების გადასაფარად გადახდილი სახსრები; იჯარის ვალდებულების შესამცირებლად, მოიჯარის მიერ, გადახდილი სახსრები[4,პ.17].



ფულადი ნაკადების ანგარიშგების მოსამზადებლად სტანდარტი გვთავაზობს ორ მეთოდს. პირველი ეს არის პირდაპირი მეთოდი, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას შემოსავლებისა და გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით. მეორე მეთოდი არის არაპირდაპირი მეთოდი, რომელიც აკორექტირებს მოგებას ან ზარალს, ისეთი მუხლების მეშვეობით, როგორცაა, არაფულადი ოპერაციები, საოპერაციო საქმიანობის დროს წარმოქმნილი ფულადი შემოსავლები და გასავლები, ასევე ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობიდან ფულად გადასახებსა და შემოსავლებთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები[4,პ.10].

### **საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, როგორც წესი მოიცავს ისეთი სახის ინფორმაციას, როგორცაა, წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის, თითოეული კომპონენტისათვის, არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენებია ის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ცვლილებებით, ასევე აქციის მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებით. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, ასევე მოიცავს:

- პერიოდის სრულ შემოსავალს, მშობელი საწარმოს არამაკონტროლებელ წილსა და მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი თანხების ცაკლე გამოყოფით.
- ბასს 8-ის „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ მიხედვით, კაპიტალის კომპონენტებისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგებს.

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან პერიოდის დასასრულამდე განხორციელებული ყველა ცვლილება, რომელიც მოხდა საკუთარ კაპიტალში და მოიცავს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას, აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

საწარმომ, მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც აღიარებულია, როგორც გაცემული განაწილება და ასევე ერთ აქციაზე დივიდენდების ოდენობა, უნდა ასახოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებაში ან განმარტებით შენიშვნებში[2,პ.79].

### **სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებები**

სააღრიცხვო პოლიტიკა მოიაზრებს გარკვეული დაშვებების, წესების, პრინციპების, საფუძვლებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, საწარმოსათვის საჭირო სააღრიცხვო ცვლილებების განსახორციელებლად, შეცდომების გასასწორებლად და სხვა.

სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ინდივიდუალური მიდგომა, გულისხმობს, რომ გათვალისწინებულ იქნეს კონკრეტული საწარმოს დარგობრივი და ეკონომიკური თავისებურებები;
- მოქნილობა, გულისხმობს, სააღრიცხვო პოლიტიკის დაყრდნობას კომპანიის კორპორატიულ დებულებებზე და მონაწილეობაზე ამ დებულებებისა და წესების შემუშავებაში.
- კანონთან შესაბამისობა, გულისხმობს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

საწარმომ იმის შემდეგ, რაც შეარჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას, უცვლელად უნდა გამოიყენოს იგი წლიდან წლამდე. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შესაძლებლობას, მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევა იძლევა, მაგალითად ისეთი შემთხვევა, როგორცაა ფასის მოთხოვნების ცვლილება. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებად არ ჩაითვლება ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება, ისეთი ოპერაციებისათვის, რომლებიც შინაარსით განსხვავდება არსებული სამეურნეო ოპერაციებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა, მათი ასახვა უნდა მოხდეს

რეტროსპექტულად, რაც გულისხმობს ცვლილების განხორციელებას იმგვარად, თითქოს მანამდეც მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა[5,პ.14].

განმარტებითი შენიშვნებში, აისახება ის დეტალები, რომლებიც შეიცვალა ფასს-ის ცვლილებების საფუძველზე და რომლებიც, გავლენას მოახდენს, როგორც წინა, ასევე მიმდინარე და მომავალ პერიოდზე. განმარტებით შენიშვნებში მოხდება, მაგალითად მიზეზები, რომლის გამოც საწარმომ უფრო საიმედოდ მიიჩნია ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგად შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების, თითოეული მუხლის კორექტირების თანხები და სხვა. განმარტებითი შენიშვნების გამეორება შემდგომში წარსადგენ ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოადგენს აუცილებლობას. განმარტებითი შენიშვნები ასევე ხშირად გამოიყენება, წინა პერიოდის შეცდომების გასასწორებლად ან გამოტოვებული ინფორმაციის ასახვისათვის[5,პ.28-29].

## თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის მაგალითზე

### 2.1 შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის საქმიანობის სფერო და მიზანი

ჰოლდინგური კომპანია „თეგეტა მოტორსი“ 1995 წელს ჩამოყალიბდა და დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიაა საქართველოში, საავტომობლო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. კომპანიის ჰოლდინგში ერთიენდება რამოდენიმე შვილობილი კომპანია, მათ შორის შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ 2006 წელს დაარსდა, როგორც უმსხვილესი გერანული მანქანათმშენებელი კოცერნის „MAN TRUCK & BUS AG“-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში. ამჟამად კომპანია მსოფლიოში აღარებული არაერთი ტექნიკის მწარმოებელი კომპანიების ოფიციალური წარმომადგენელი და სერვისპარტნიორია. კომპანია დაკომპექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესიონალი თანამშრომლებით, მომუშავე პერსონალი ამჟამად შედგება 65 თანამშრომლისაგან. კომპანია ყიდის:

- სატვირთო და სპეციალური დანიშნულების მანქანებს,
- ბეტონის დამმუშავებელ სისტემებს,
- მუნიციპალურ ტექნიკას,
- საგზაო და მიწის მთხრელ ტექნიკას.


კომპანია მომხმარებელს სთავაზობს გაყიდვის შემდგომ მომსახურებასაც, რომელიც გულისხმობს:

- სერვისულ მხარდაჭერას,
- საგარანტიო მომსახურებას და შესაბამისი სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას.

კომპანიის მისიაა მომხმარებელს შესთავაზოს მაღალხარისხიანი პროდუქცია, რათა იყოს მუდმივად ლიდერ პოზიციებზე. კომპანია ცდილობს მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარების პროცესში, მისი მიზანია მოქნილი პოლიტიკის, მიღებული

გამოცდილებისა და წამყვან ბრენდებთან თანამშრომლობის ხარჯზე, გახდეს საიმედო მომხმარებლების ცნობიერებაში და შეინარჩუნოს გრძელვადიანი ურთიერთობა მომხმარებლებთან.

თეგეტა მოტორსის ჰოლდინგის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი კომპანიების სახით:



**2.2 შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პრინციპები**

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი როგორც უკვე ავლნიშნეთ არის ჰოლდინგური კომპანია „თეგეტა მოტორს“-ის ჯგუფის წევრი. კომპანიის 100%-ან წილს სრულიად ფლობს „თეგეტა მოტორსი“. კომპანია აჟამად მიეკუთვნება მეორე კატეგორიის კომპანიებს, თუმცა 2018 წლის მდგომარეობით, რომლის ფინანსურ ანგარიშგებასაც განვიხილავთ, მიეკუთვნებოდა მესამე კატეგორიას. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი წარადგენს კონსელიდირებულ ანგარიშგებას, ბასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“-ის შესაბამისად, გამომინარე იქიდან, რომ ის არის შპს „აგროსერვის“-ის მშობელი კომპანია, რომელიც დაარსდა 2014 წელს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ შპს „აგროსერვისი“ ამჟამად არააქტიური კომპანიაა და გავლენას არ ახდენს მოცემულ ანგარიშგებაზე. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა, რომლებიც რეალური ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის უწყისი წარმოდგენილია შემდეგნაირად (თანხა მოცემულია ათას ლარში).

	<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>
<b>აქტივები</b>		
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
<b>ძირითადი საშუალებები</b>	902	944

არამატერიალური აქტივები	2	3
განარტიებთან დაკავშირებული აქტივები	840	-
გაცემული სესხები	-	328
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>1,744</b>	<b>1,275</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები	396	-
მარაგები	10,981	5,661
სავაჭრო მოთხოვნები	1,850	1,331
გადახდილი ავანსები	10,808	729
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	76	-
გაცემული სესხები	2,212	253
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14,190	6,079
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>40,513</b>	<b>14,053</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>42,257</b>	<b>15,328</b>
<b>კაპიტალი</b>		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება	8,341	7,638
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>8,341</b>	<b>7,638</b>
<b>ვალდებულებები</b>		
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
საგარანტიო ანარიცხები	2,236	-

სახელშეკრულებო ვალდებულებები	588	2,258
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>2,824</b>	<b>2,258</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
სესხები	4,124	2,530
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	806	468
საგარანტიო ანარიცხები	622	-
ფინანსური თავდებობის ანარიცხები	1,636	-
საგადასახადო ვალდებულებები(მოგების გარდა)	74	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	23,830	2,212
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>31,092</b>	<b>5,432</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>33,916</b>	<b>7,690</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>42,257</b>	<b>15,238</b>

განვიხილოთ კომპანიის ბალანსში შემავალი გარკვეული კომპონენტები და მათი აღიარებისა და გამოთვლის პრინციპები და მეთოდები.

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ძირითადი საშუალებები, შედგება, ავტომობილებისაგან, ოფისის აღჭურვილობისაგან და იჯარით აღებული ქონების, რომელიც ჩვენ შემთხვევაში არის მიწა, მისი კეთილმოწყობისაგან. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ კომპანია ძირითად საშუალებებს აღირიცხავს თვითღრებულებით, შემცირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალით (თუ ასეთი არსებობს) და აკუმულირებული ცვეთით. თვითღრებულებას კომპანია საზღვრავს შესყიდვის ფასით, იმპორტის გადასახადებით, ტრანსპორტირების ხარჯებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა პირდაპირი ხარჯებით. მაგალითად:



- ავტომობილები

კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა კომპანიის საკუთრებაში არსებული „TOYOTA FORTUNER“-ის მარკის ავტომობილი, რომელსაც იყენებენ კომპანიის თანამშრომლები, ადგილობრივი მივლინებებისა და სხვა სახის გადაადგილებებისათვის. ავტომობილის შეძენის ფასი 30600 აშშ დოლარს შეადგენს. კონკრეტული ავტომობილი შეძენილია ადგილობრივი მომწოდებლისგან, რომელმაც ოფისის ტერიტორიაზე გადმოგვცა ავტომობილი, შესაბამისად მისი თვითღირებულება მოიცავს მხოლოდ შეძენის თანხას. კომპანია, თვითღირებულებაში შეძენის თანხას, აღიარებს გადაფორმების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისი ლარის ოდენობით, რომელიც 91044,18 ლარს შეადგენს.

- საოფისე აღჭურვილობა

კომპანიის საოფისე აღჭურვილობას შეადგენს ლეპტოპები, პერსონალური კომპიუტერები, მაგიდები, სკამები და სხვა. ავტომობილისაგან განსხვავების სკამები შეძენილია უცხოური მომწოდებლისგან. სკამების რაოდენობა შეადგენს 20 ცალს და ჯამური ღირებულება 5200 ევროა. გამომდინარე იქიდან, რომ ფასის ნაწილი გადარიცხული იყო ავანსად და მეორე ნაწილი, აქტივის მიღების შემდგომ, თვითღირებულებაში შეძენის თანხა აღებულია ორი განსხვავებული კურსით. 5200\*30%- ავანსის გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით 4451,61 ლარი, ხოლო 5200\*70%- საქონლის საკუთრებაში აღიარების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით 10542,16, ჯამური ღირებულება 14993,77 ლარი. გარდა ამისა, სკამების თვითღირებულებაში შეყვანილია:

1. იმპორტის გადასახადი - 984 ლარი;
2. საერთაშორისო ტრანსპორტირების თანხა - 4699,65 ლარი (1900 აშშ დოლარი, მომსახურების გაწევის ინვოისის თარიღის შესაბამისი კურსით);
3. განბაჟების თანხა - 400 ლარი

4. საბაჟო ტერმინალიდან ოფისის ტერიტორიამდე ტრანსპორტირების თანხა - 350 ლარი;
5. დაცლა-აწყოების თანხა - 500 ლარი.

ჯამური თვითღირებულება 21927,42 ლარი. კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე დღგ-ს თანხა თვითღირებულებაში არ ჩაირთვება.

- იჯარით აღებული ქონება

იჯარით აღებული ქონება შპს „თრაქ ენდ ბას“-ის შემთხვევაში არის მიწა ტექნიკის განსათავსებლად და სერვისისათვის განკუთვნილი ფართი. კონკრეტულად კომპანიას აქვს ორი იჯარის ხელშეკრულება, ესენია:

- შპს „თეგეტა რენტალს“-ის საკუთრებაში არსებული მიწა, რომელსაც იყენებს ტექნიკის განსათავსებლად. შპს „თეგეტა რენტალს“-ის იჯარა არის 2 წლიანი და კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარის დარიცხვა ხდება ყოველი თვის ბოლოს 3500 აშშ დოლარის ოდენობით, თვის ბოლო დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. თანხა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელზეც განთავსებულია სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებების, კერძოდ ავტობუსების სერვისი, ზემოთ ხსენებული იჯარის მსგავსად, კომპანიას ასევე საოპერაციო იჯარად აქვს კლასიფიცირებული. ტერიტორიის კეთილმოწყობა კომპანიას დაუჯდა 106000 ლარი. ვინაიდან, ამ ხარჯის გაწევა ხელშეკრულების გათვალისწინებით ევალებოდა კომპანიას და მისი გათვალისწინება არ მოხდა საიჯარო ქირის შემცირების ხარჯზე, მოხდა ამ ხარჯის კაპირალიზება. კაპიტალიზებული ხარჯები ამორტიზდება საიჯარო ვადაში. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, ძირითადი საშუალება რჩება მეიჯარის მფლობელობაში.

ფასს 16 „იჯარა“ გამოიცა 2016 წლის იანვარში, თუმცა ძალაში შევიდა 2019 წლიდან, შესაბამისად, აღნიშნული ანგარიშგება არ არის წარმოდგენილი ზემოთხსენებული ფასს-ის მიხედვით. ფასს 16 „იჯარა“-მ ჩაანაცვლა ბასს-17 „იჯარა“ და ასევე ფასიკ 4 „როგორ განსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“. კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს ფასს 16 „იჯარა“-ს რეტროსპექტულად მიღებას, ყველა წინა საანგარიშგებო პერიოდისათვის. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი წარმოდგება როგორც მეიჯარის, ასევე მოიჯარის პოზიციაში, შესაბამისად ჯგუფისათვის იჯარის აღრიცხვა ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია. კომპანია განსაზღვრავს შეთანხმებას, როგორც იჯარას მისი არსიდან გამომდინარე. შეთანხმება განისაზღვრება იჯარად, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია აქტივის გამოყენებაზე, და შეთანხმებაში აისახება აქტივის გამოყენების უფლება, მაშინაც, როდესაც აქტივი არარის მკაფიოდ შეთანხმებაში განსაზღვრული.

კომპანია, როგორც მეიჯარე, განიხილავს მხოლოდ საოპერაციო იჯარას, რაც გულისხმობს კომპანიის მხრიდან აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის არ გადაცემას მეორე მხარეზე. მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლის ნაწილში. პირობითი საიჯარო ქირა აღიარდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მიღება. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ისათვის ასეთი სახის იჯარაა ოფისის იჯარა.

### **ცვეთის პოლიტიკა**

კომპანია ცვეთის დარიცხვისას ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, რაც გულისხმობს რომ, ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივებისათვის სამუშაო მდგომარეობაში მათი მოყვანის მომენტიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების დაკლებაზე. კომპანიაში ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში, ძირითადი საშუალებების მომსახურების სასარგებლო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. რომელიც კომპანიის მენეჯმენტის აზრით ყველაზე კარგად ასახავს აქტივიდან მიღებული მომავალი სარგებლის მოსაღებდნელ დონეს.

კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებაში ნარჩენი ღირებულება ყოველთვის ნულის ტოლია.

მაგალითად ზემოთ ხსენებული ავტომობილის „TOYOTA FORTUNER“-ის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა 6 წლით, რის საფუძველზეც ყოველთვიური ცვეთა შეადგენს :

ავტომობილი „TOYOTA FORTUNER“	წლიური ცვეთის გაანგარიშების ბაზა	ცვეთის წლიური თანხა	დაგროვილი ცვეთა	ავტომობილის საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
წელი				91044,18
1	91044,18/6	15174,03	15174,03	75870,15
2	91044,18/6	15174,03	30348,06	60696,12
3	91044,18/6	15174,03	45522,09	45522,09
4	91044,18/6	15174,03	60696,12	30348,06
5	91044,18/6	15174,03	75870,15	15174,03
6	91044,18/6	15174,03	91044,18	0

იმ შემთხვევაში, როდესაც, ძირითადი საშუალების სხვადასხვა ერთეულებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა კომპანიაში არ ხდება როგორც ცალკე კომპონენტების აღრიცხვა და მათზე ცვეთა არ ირიცხება ცალ-ცალკე, მათთვის შესაბამისი მომსახურების ვადის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ხდება აქტების ერთიან აქტივად აღიარება და ცვეთის დარიცხვა ერთიანად. მაგალითად, პერსონალური კომპიუტერების შემთხვევაში, მათი ნაწილების შეძენა ხდება ცალ-ცალკე, თუმცა კომპანია ცვეთის დარიცხვისათვის ახდენს ამ ნაწილების დაკომპლექტებას და ერთი აქტივის სახით წარმოდგენას, პერსონალური კომპიუტერის შემადგენელი ნაწილებია:

- მონიტორი-1500 ლარი
- მაუსი- 30 ლარი
- კლავიატურა- 62 ლარი

- პროცესორი- 1800 ლარი

პერსონალური კომპიუტერის ჯამური ღირებულება 3392 ლარი. ამ აქტივს სარგებლობის მეორე წლის ბოლოს ჩაუტარდა გაუმჯობესების მიზნით გარკვეული სამუშაოები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 500 ლარი და რომელიც, დაემატა თვითღირებულებას, შესაბამისად ცვეთის თანხის განსაზღვრა, შემდგომ წლებში, მოხდება ახალი თვითღირებულების საფუძველზე.

კომპანია ამ ნაწილებს ცალ-ცალკე მომსახურების ვადას არ ანიჭებს და არც ცალკეულად არიცხავს ცვეთას. აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადის გაზრდის მიზნით გაწეული ხარჯის აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. სხვა დანარჩენი შეკეთებისა და მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების პერიოდისთვის იყო შემდეგი:

- საოფისე აღჭურვილობა და ავტომობილები - 2-6 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები - 3-7 წელი.

კომპანია არ ატარებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტს, შესაბამისად, მთლიანად გაუფასურებული ძირითადი საშუალებები, რჩება კომპანიის ბალანსზე სალიკვიდაციო ღირებულებით და გამოიყენება ყოველდღიურ საქმიანობაში. შესაბამისად, კომპანია არ ფლობს სწორ ინფორმაციას აქტივის ანაზღაურებად ღირებულებაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომელი უფრო მომგებიანია კომპანიისათვის აქტივის გამოყენება, თუ გაყიდვა.

**არამატერიალური აქტივები.** შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი არ ფლობს მრავალ არამატერიალურ აქტივს, კომპანიის არამატერიალური აქტივია პროგრამული აქტივი SAP ERP (პროგრამული უზრუნველყოფა)

SAP ERP კომპანიის უმნიშვნელოვანესი აქტივია, რომელსაც კომპანია იყენებს ყველანაირი ოპერაციების წარმოებისათვის, როგორცაა ბუღალტრული აღრიცხვა, სასაწყობო აღრიცხვა, გაყიდვები, შესყიდვები, ასევე უბრალოდ კომპანიის ზოგადი მონაცმთა ბაზა. SAP ERP- ის კომპანიაში დანერგვა საკმაო ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც სრულად ჩართულია პროგრამის თვითღირებულებაში, ესენია:

- SAP ERP საწყისი ფასი- 1 800 000 ლარი;
- პროგრამის დანერგვა- 675 000 ლარი.

პროგრამის საერთო ღირებულება საწყის ეტაპზე 2 475 000 ლარი.

თავდაპირველად კომპანიაში არამატერიალური აქტივები აღიარდება თვითღირებულებით. SAP ERP საჭიროებს სისტემატურ პროგრამულ მხარდაჭერას და ასევე ყოველდღიურ სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესწორებას, რაც კომპანიას ყოველთვიურად ერიცხება, როგორც მომსახურების გაწევის საფასური 2500 აშშ დოლარის ოდენობით, თანხის დარიცხვა ხდება ყოველი თვის ბოლოს, შესაბამის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ამ ტიპის ხარჯი მიეკუთვნება პერიოდის ხარჯს და აისახება მოგება-ზარალში.

გარდა ყოველთვიური ხარჯისა, არის შემთხვევები, როდესაც ხდება ხარჯის კაპიტალიზება. მაგალითად, SAP ERP შედგება გარკვეული მოდულებისაგან, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა მიმართულების აღრიცხვისთვის, ესენია:

- SD მოდული- გამოიყენება სალაროს ოპერაციებისათვის.;
- MM მოდული- გამოიყენება მარაგების აღრიცხვისა და კონტროლისათვის;
- FI მოდული- გამოიყენება ბუღალტრული გატარებებისა და აღრიცხვისათვის;
- და სხვა.

ჩამოთვლილი მოდულები ძირითადია კომპანიისათვის, რომლების დანერგვაც მოხდა კომპანიაში SAP ERP-ის დანერგვის თანავე, თუმცა რამოდენიმე წლის წინ კომპანიას

დაჭირდა ცალკე მოდული, რომელიც გამოიყენება სერვისი განაცხადების, სერვისის სახარჯი მასალებისა და სხვა სერვისთან დაკავშირებული საკითხების აღრიცხვისათვის, SM მოდულის დანერგვა კომპანიას 12000 აშშ დოლარი დაუჯდა, გაუმჯობესების ხარჯები კაპიტალიზებულ იქნა და დაემატა პროგრამის თვითღირებულებას.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას ანიჭებს, ეს არის 5 წელი. არამატერიალური აქტივების გადაფასება ხდება მაშინ, როდესაც რაიმე სახის მინიშნება არსებობს აქტივის გაუფასურებაზე. ყოველწლიურად ხდება გადასინჯვა ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდის, ცვლილებები აღრიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც გასხვიდებიდან ეკომომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული მოგება ან ზარალი ანგარიშდება, როგორც წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ამჟამად არ ფლობს სხვა არამატერიალურ აქტივებს, ზემოაღნიშნული პოლიტიკა გამოყენებული არ ყოფილა კომპანიაში.

SAP ERP- ის ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად. თუმცა ამ შემთხვევაში, სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა კომპანიის მენეჯმენტისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ამორტიზაციის ნორმა თვითღირებულების 15%-ს შეადგენს, რომელიც აქტივს ერიცხება წრფივი მეთოდით.

**მარაგები.** მარაგების ძირითადი ნაწილი შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ში წარმოდგენილია გასაყიდი ტექნიკისა და ამავე ტექნიკის სათადარიგო ნაწილების სახით, ასევე კომპანიის „MAN TRUCK & BUS AG“-ს ბრენდირებული აქსესუარებით, როგორცაა მაისური, კეპი და სხვა. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის მარაგში არსებული ყველა სახის ტექნიკა და ნაწილები იმპორტირებულია, რაც გავლენას ახდენს მარაგის თვითღირებულების სიდიდეზე. მარაგების თვითღირებულება ფასდება ორი მეთოდის გამოყენებით, ერთგვაროვანი

საქონლის შემთხვევაში, საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. რაც შეეხება სპეც ტექნიკასა და ავტომობილებს, მათი თვითღირებულების განსაზღვრა ხდება სპეციფიური იდენტიფიცირების საფუძველზე. საქონლის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტები დამოიდებულია: მომწოდებელთან ანგარიშსწორების პრინციპებზე, საქონლის მიწოდების პირობებზე, საბაჟო ოპერაციებზე, საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსვლის და განბაჟების შემდგომ მოქმედებებზე.

**ანგარიშსწორების პრინციპები.** კომპანია ანგარიშსწორებას უცხოელ მომწოდებლებთან ახდენს, მათი მოთხოვნების შესაბამისად. მოთხოვნა შესაძლოა იყოს, როგორც სრული ავანსის გადახდა, ასევე თანხის ნაწილის ავანსად გადახდა ან თანხის გადახდა საქონლის კომპანიაში შემოსვლის შემდგომ. თვითღირებულების გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ გადახდის რომელი პირობით არის შეძენილი საქონელი.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულება სრულად იქნა გადარიცხული ავანსად, მისი თვითღირებულების კალკულაცია ხდება ავანსის გადარიცხვის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულების ნაწილი ავანსად იქნა გადარიცხული, ხოლო დანარჩენი თანხის გადარიცხვა მოხდება საქონლის მიღების შემდგომ, კომპანია საქონლის თვითღირებულებას ითვლის ავანსის გადარიცხვის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო დანარჩენ თანხას, საქონლის მარაგად აღიარების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება ხდება საქონლის მიღების შემდგომ, თვითღირებულებაში შეძენის ღირებულება დაიანგარიშება, კომპანიის მიერ საქონლის მარაგში აღიარების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

**საქონლის მიწოდების პირობები.** ინკოტერმსი- საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას გამოყენებული კომერციული ტერმინების ერთობლიობაა. კომპანიისათვის



ძალიან მნიშვნელოვანია, შესყიდვის ინვოისში, სწორად იქნეს მითითებული ინკოტერმსის კონკრეტულად რომელი პირობით ხდება საქონლის შექმნა, რადგან ინკოტერმსის პირობაზე დამოკიდებული რა სახის ხარჯების გაწევა მოუწევს კომპანიას საქონლის მისთვის სასურველ ადგილმდებარეობამდე მისაყვანად. მოკლედ ჩამოვთვალოთ ეს პირობები:

- EXW (ex works) - ქარხნიდან. ამ პირობით გამყიდველი იხსნის ყოველგვარ ვალდებულებას და ხარჯს საქონლის საკუთარი შენობიდან დანიშნულების ადგილზე მიწოდებამდე.
- FCA (free carrier) - თავისუფალი გადამზიდავთან მიტანიდან. მოცემული პირობით მომწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი, მყიდველის მიერ შერჩეულ გადამზიდ კომპანიას, შეთანხმებულ ტერიტორიაზე.
- FAS (free alongside ship) - თავისუფალი პორტში მიტანიდან. გამოიყენება მხოლოდ საზღვაო ტრანსპორტირებისას. გულისხმობს ტვირთის მიტანას და განლაგებას გემბანის გასწვრის გამყიდველის მიერ, რის შემდეგაც საქონელზე პასუხისმგებლობა და ხარჯები ეკისრება მყიდველს.
- FOB (free on board) – თავისუფალია გემბანზე მიტანიდან. ასევე გამოიყენება მხოლოდ საზღვაო ტრანსპორტირებისას და გულისხმობს გამყიდველის ვალდებულებას მიიტანოს ტვირთი მყიდველის მიერ შერჩეული ხომალდის გემბანზე.
- CFR (cost and freight) - ღირებულება და ფრახტი. გამყიდველი ვალდებულია გაწიოს საზღვაო გადაზიდვის ხარჯი, თუმცა განთავისუფლებულია ტვირთზე პასუხისმგებლობისაგან.
- CIF (cost, insurance, freight)- ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი. აღნიშნული პირობა მხოლოდ იმით განსხვავდება CFR პირობისაგან, რომ გამყიდველი ვალდებულია ასევე გადაიხადოს დაზღვევის ხარჯებიც.
- CPT (carriage paid to) - გადაზიდვა გადახდილია ... მდე. გამყიდველი იყებს ტრანსპორტირების ხარჯს დანიშნულების ადგილამდე, თუმცა იხსნის

ტვირთზე პასუხისმგებლობას, მაშინვე როგორც კი ტვირთი გადაეცემა გადამზიდავს.

- CIP (carriage and insurance paid to) - გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია ... მდე. მოცემული პირობა იგივეა რაც CPT , იმ განსხვავებით, რომ გამყიდველი იღებს ვალდებულებას სადაზღვევო პრემიის გადახდაზე.
- DPU (delivered named place unloaded) - გადაზიდვა ჩამოტვირთვის ადგილამდე. ინკოტერმსის ეს პირობა 2020 წელს იქნა მიღებული და ჩაანაცვლა DAT პირობა, რომლის მიხედვითც ტვირთის გადაზიდვის პასუხისმგებლობა და ხარჯები ეკისრებოდა გამყიდველს ტერმინალამდე.
- DAP (delivered at place) - გადაზიდვა მიწოდების ადგილამდე. აღნიშნული პირობა გულისხმობს გამყიდველის მიერ ყველანაირი ხარჯისა და რისკის ფლობას, მყიდველის დანიშნულების ადგილამდე.
- DDP (delivered duty paid)- მიწოდება საბაჟო გადასახდელების ჩათვლით. გულისხმობს გამყიდველის მხრიდან ყველა ხარჯის, პასუხისმგებლობის, დაზღვევისა და საბაჟო გადასახადების საკუთარ თავზე აღებას[17]

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი მოცემული ინკოტერმსის პირობებიდან იყენებს EXW, FCA, FOB და CIP პირობებს. ძირითად შემთხვევებში, მუდმივ მომწოდებლებთან შეთანხმების მიხედვით, გვხვდება EXW ან CIP პირობა.

EXW პირობით შესყიდული საქონლის ტრანსპორტირების ვალდებულება, ისევე როგორც პასუხისმგებლობა, მომწოდებლის ქარხნის ტერიტორიის დატოვების შემდეგ გადმოდის კომპანიაზე, ამიტომ კომპანიის საქონლის თვითღირებულება იზრდება შესაბამისი ხარჯებით: საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯით, დაზღვევით, ტრანსპორტიორი კომპანიის მხრიდან გაწეული დამატებითი ხარჯებით, როგორცაა მოცდენა და სხვა. საქართველოს საზღვრამდე ყველა ხარჯი ეკისრება კომპანიას და ავტომატურად ჩაირთვება საქონლის თვითღირებულებაში.

CIP პირობის შემთხვევაში, კომპანია იღებს პასუხისმგებლობას ტვირთზე, თუმცა ხარჯებს საქართველოს საზღვრამდე ანაზღაურებს მომწოდებელი, შესაბამისად საერთაშორისო გადაზიდვის ხარჯები ცალკე არ ჩაირთვება თვითღირებულებაში, რადგან გათვალისწინებულია მომწოდებელთან გადახდილ თანხაში. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის მოთხოვნით მუდმივ მომწოდებლებთან CIP პირობის გამოყენების შემთხვევაში, გადამზიდის შერჩევა ყოველთვის ხდება კომპანიის მხრიდან, რადგან პასუხისმგებელი ტვირთზე გამშვები პუნქტიდან არის შპს „თრაქ ენდ ბას“-ი.

ინკოტერმის პირობის განსაზღვრა, ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია კომპანიისათვის, რათა დადგინდეს საქონლის აღიარების დრო, როგორც საქონელი გზაში. საქონელი გზაში, კომპანიისათვის არის შესაბამის ანგარიშზე ასახული საქონელი, რომლის საკუთრების უფლებაც გადმოსულია მყიდველზე. საქონელი გზაში აღიარება ხდება CMR-ის მონაცემების შესაბამისად, რომელიც არის საერთაშორისო ზედდებული. CMR-ში მითითებულია, შემდეგი სახის ინფორმაცია: მომწოდებელი, მყიდველი, მიწოდების პირობა, მიწოდების თარიღი, ტვირთის წონა, გადამზიდის მონაცემები და სხვა. CMR-ში არსებული თარიღისა და მიწოდების პირობის შესაბამისად, ხდება საქონლის აღიარება საკუთრებაში და გზაში. საქონელი გზაში შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“- ში განთავსებულია ვირტუალურ საწყობზე, მანამდე სანამ არ მოხდება ტვირთის ჩამოსვლა და განბაჟება. საქონელი გზაში ძირითადად არის მაქსიმუმ 1-2 თვის ინტერვალში.

**საბაჟო ოპერაციები.** საქონლის საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ, გასაბაჟებელ საქონელთან დაკავშირებით, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი იყენებს ორი სახის მიდგომას. პირველ შემთხვევაში, ხდება საქონლის ჩვეულებრივად განბაჟება საბაჟოზე და გადმოყვანა კომპანიის ტერიტორიაზე. განბაჟებული საქონლის თვითღირებულებაში ჩაირთვება შესაბამისი საბაჟო გადასახადები, როგორცაა, ჩვენს შემთხვევაში, იმპორტის გადასახადი და საბაჟოს მომსახურების საფასური. იმპორტის გადასახადი ერიცხება მხოლოდ ჩამოტანილ ნაწილებს, მაგალითად პლასმასის შემცველ ნაწილებს.

საბაჟო მომსახურების გადასახადი არის 400 ლარი ნაწილების შემთხვევაში და 150 ლარი ტექნიკის შემთხვევაში, რომელებიც ჩაირთვება საქონლის თვითღირებულებაში.

რაც შეეხება, საბაჟოზე გადასახდელ დღგ-ს კომპანია იხდის და ასევე ითვლის საბაჟო დეკლარაციის შესაბამისად, თუმცა არ ითვალისწინებს მას თვითღირებულებაში.

მეორე შემთხვევაში, ეგრედ წოდებული გეზ-ის რეჟიმით, კომპანია არ ანბაჟებს იმპორტირებულ საქონელს. საქონელი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, რჩება საბაჟოს საწყობში, განბაჟების ეკონომიკურ ზონაში. ამ მეთოდს კომპანია, მიმართავს ისეთი შემთხვევებისას, როდესაც მძიმე ტექნიკის განბაჟებას სჭირდება საკმაოდ დიდი ოდენობის საბაჟო დღგ-ს გადახდა და თუ კომპანია ამ კონკრეტულ პერიოდში არარის მზად მსგავსი თანხების გადასახდელად. საქონლის შენახვა შესაძლებელია, 2018 წლის ცვლილების შესაბამისად 180 დღემდე. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ს ტექნიკა სასაწყობო რეჟიმში მაქსიმალური ვადით 5 დღით აქვს გაჩერებული. სასაწყობო მომსახურების თანხის ჩართვა თვითღირებულებაში კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე არ ხდება, ხარჯი აღიარდება პერიოდის ხარჯად და ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**განბაჟების შემდგომი ოპერაციები.** საქონლის განბაჟების შემდგომ, კომპანიას საკმაოდ დიდი ხარჯები აქვს, ესენია: საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები, დატვირთვისა და ჩამოტვირთვის ხარჯები, საქონლის ტექნიკური და ვიზუალური მხარის დათვალიერების ხარჯები და კომპლექტაციისა ან დეკომპლექტაციის ხარჯები, რომელებიც თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკა ჩამოსულია დაშლილ მდგომარეობაში ან კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, ტექნიკის დაშლა უფრო მეტად სარგებლიანი იქნება.

საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების მომსახურებას კომპანიას უწევს, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები. მოძრაობის ინტენსივობა და თანხები დამოკიდებულია ტექნიკის სიდიდესა და მენეჯმენტის ვარაუდზე, რომელი ტერიტორია იქნება უკეთესი ტექნიკის გასაჩერებლად. აღნიშნული მომსახურება

ძირითადად მერყეობს 1500-2500 ლარის ფარგლებში. კომპანია მსგავსი ტიპის ხარჯებს არ რთავს საქონლის თვითღირებულებაში და აღიარების პერიოდის ხარჯად.

საქონლის ტექნიკური ან ვიზუალური მხარის შემოწმება, ხდება თითოეულ ტექნიკაზე ინდივიდუალურად და შესაბამისად ფასიც ინდივიდუალურია, დათვალეობა არ ხდება ნაწილების შემთხვევაში. შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ხარჯები ჩაირთვება საქონლის თვითღირებულებაში და შეადგენს დაახლოებით 500-800 ლარს.

კომპლექტაცია ძირითად შემთხვევებში, აუცილებელია ტექნიკის გასაყიდ მდგომარეობამდე მისაყვანად, ამიტომ კომპლექტაციის ხარჯები ყოველთვის ემატება თვითღირებულებას. არის შემთხვევები, როდესაც ტექნიკა არ საჭიროებს რაიმე სახის ერთეულის დამატებას სამუშაო მდგომარეობამდე მისაყვანად, თუმცა მომხმარებლის თხოვნით ხდება, გარკვეული ტიპის დამატებითი ნაწილების დამონტაჟება, ასეთ შემთხვევაში, საქონლის თვითღირებულებას ემატება როგორც დამატებული ნაწილის, ასევე მის დასამატებლად გაწეული მომსახურების ღირებულება, თუ აღნიშნული მომსახურება გაგვიწია გარე კომპანიამ.

რაც შეეხება დეკომპლექტაციას, მსგავსი პროცედურის გატარების გადაწყვეტილებას, იღებს მენეჯმენტი და შესაბამისად დაყოფილი ნაწილების თვითღირებულების წილს მთლიანი საქონლის თვითღირებულებიდან საზღვრავს მენეჯმენტი, მიახლოებული ტექნიკის თვითღირებულების ან ზოგადი გამოცდილების საფუძველზე. იშვიათ შემთხვევებში, შესაძლოა დეკომპლექტაცია დაჭირდეს ზემოთ ხსენებული კომპლექტაციით დამატებულ ნაწილებს, ამ შემთხვევაში დეკომპლექტაციისათვის საჭირო მომსახურების ხარჯები ჩაირთვება თვითღირებულებაში, ხოლო მოხსნილი ნაწილის თვითღირებულებით ხდება მისი შემცირება.

მაგალითად განვიხილოთ მარაგში არსებული საქონლის თვითღირებულების კალკულაციის რამოდენიმე შემთხვევა:

➤ სატვირთო ავტომობილი MAN TGS 41.440.

მომწოდებელი : „MAN TRUCK & BUS AG“-ს;

მიწოდების პირობა : EXW;

ანგარიშსწორება : შემდგომი გადახდის პირობით.

თვითღირებულების შემავალი კომპონენტებია:

- შეძენის ღირებულება- 209886.2 (74000 ევრო ექვივალენტი ლარში);
- საერთაშორისო ტრანსპორტირება- 53889.7 (19000 ევრო ექვივალენტი ლარში);
- საბაჟოზე გადასახდელი თანხები- 150 ლარი;
- დათვალეობა- 550 ლარი
- კომპლექტაცია- 350 ლარი;

ჯამში ამ კონკრეტული ავტომობილის თვითღირებულება შეადგენს 266825,9 ლარს. აღნიშნული ავტომობილი კომპანიამ შეიძინა „MAN TRUCK & BUS AG“-საგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი კომპანია „MAN TRUCK & BUS AG“-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში, ამიტომ კომპანიასთან ანგარიშსწორება ხდება საქონლის მიღების შემდგომ, შესაბამისად თვითღირებულების თანხა დაანგარიშებულია გადამზიდი კომპანიის მიერ, CMR-ში მითითებული ავტომობილის ჩატვირთვის თარიღის შესაბამისი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. გამოდინარე იქიდან, რომ მოწოდების პირობა არის EXW მომწოდებლის ქარხნიდან გამოყვანის შემდგომი ხარჯები მთლიანად ეკისრება კომპანიას და შესაბამისად ჩაირთვება თვითღირებულებაში. საერთაშორისო გადაზიდვებისათვის, კომპანია ქირაობს, როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ სატრანსპორტო კომპანიებს, ამ შემთხვევაში კომპანია უცხოური იურიდიული პირია, ავტომობილის თვითღირებულებაში შეყვანილი თანხა აღებულია გადამზიდავი კომპანიის მიერ გამოწერილი ინვოისის თარიღში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

თვითღირებულებაში ასევე შეტანილია საბაჟო მომსახურების გადასახადი, რომელიც, როგორც უკვე ვახსენეთ ტექნიკის შემთხვევაში შეადგენს ფიქსირებულ 150 ლარს. ავტომობილს ჩაუტარდა ასევე დათვალიერებისა და კომპლექტაციის სამუშაოები, რაც ასევე ჩართულია თვითღირებულებაში.

➤ სატვირთო ავტომობილი დახურული ძარით HINO 916

მომწოდებელი: SEGREX AUTO FZCO

მოწოდების პირობა: CIP

ანგარიშსწორება: ავანსი

თვითღირებულების შემავალი კომპონენტებია:

- შეძენის ღირებულება- 76839,87 (31100 აშშ დოლარი ექვივალენტი ლარში);
- საბაჟოზე გადასახდელი თანხები- 150 ლარი;
- საბაჟო სასაწყობე დგომა- 84 ლარი
- დათვალიერება- 430 ლარი
- დეკომპლექტაცია- 350 ლარი;

ჯამური თვითღირებულება შეადგენს 77853,87 ლარს. ავტომობილის შესაძენად კომპანიამ ავანსად გადაიხადა შეძენის სრული ღირებულება, აქედან გამომდინარე თვითღირებულებაში თანხა ჩართულია არა CMR-ში მითითებული თარიღის, არამედ ავანსის გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ავტომობილისათვის განკუთვნილ საბაჟო მომსახურების გადასახადთან ერთად, თვითღირებულებას ასევე დაემატა საბაჟო საწყობში დასაწყობების თანხა. სტანდარტულად ჩართულია დათვალიერების თანხაც. წინა მაგალითში არსებული შემთხვევისაგან განსხვავებით, აღნიშნულ ავტომობილს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ჩაუტარდა დეკომპლექტაციის სამუშაოები და მოხდა ძარის გამოყოფა მთლიანი ავტომობილიდან. დეკომპლექტაციის შემდგომ ავტომობილის

თვითღირებულებამ შეადგინა 54073,35 ლარი, ხოლო ძარის თვითღირებულება 23780,52 ლარს შეადგენს.

➤ ავტობუსი TEMSA

მომწოდებელი: TEMSA ULASIM ARAKLARI

მოწოდების პირობა: CIP

ანგარიშსწორება: ნაწილობრივი ავანსი 30%

თვითღირებულების შემავალი კომპონენტებია:

- შეძენის ღირებულება- 141531,6 (49000 ევრო ექვივალენტი ლარში);
- საბაჟოზე გადასახდელი თანხები- 150 ლარი;
- დათვალეირება- 500 ლარი;
- ტექნიკურად გამართვის სამუშაოები- 780 ლარი.

ავტობუსის ჯამური თვითღირებულება 142961,6 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული შეძენისას კომპანიამ გადაიხადა ნაწილობრივი ავანსი, ავტობუსის თვითღირებულების გაანგარიშება, კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე, მოხდა კომბინირებული კურსით, კერძოდ :

	დაანგარიშების პრინციპი	თანხა ლარში
ავანსის თარიღით	$49000 * 30\% * 2,9277$	43037,19
CMR-ის თარიღით	$49000 * 70\% * 2,8716$	98495,88
ჯამი		141533,07
კომბინირებული კურსი	$141533,07 / 49000$	2,8884
შეძენის თვითღირებულება	$49000 * 2,8884$	141531,6



თვითღირებულების დანარჩენი კომპონენტები ამ შემთხვევაშიც სტანდარტულია, გარდა ტექნიკურად გამართვის სამუშაოებისა, რაც გულისხმობს ავტობუსის დაზიანებული ნაწილის შეცვლას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების დროს დაზიანდა და აღდგნითი სამუშაოების შესაბამისი მომსახურების თანხამ, შესაბამისად გაზარდა თვითღირებულება.

კომპანია მარაგების აღრიცხვისათვის იყენებს ბასს 2 „მარაგები“. მარაგების შეფასება ხდება შეძენისას-თვითღირებულებით, შემდგომი შეფასებისას-ინდივიდუალური მეთოდით, ხოლო წლის ბოლოს ბალანსში-ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით. კომპანია, იშვიათად, მაგრამ მაინც აწყდება, ისეთი სახის პრობლემას, როგორცაა თვითღირებულების სრული შემადგენელი კომპონენტების დოკუმენტაციის არარსებობა, ასეთ შემთხვევაში, კომპანია აღიარებს, სტანდარტების მიხედვით თვითღირებულებაში შესატან ხარჯებს, როგორც პერიოდის ხარჯს და მიაკუთვნებს მოგება-ზარალის ანგარიშგებას. ეს რათქმაუნდა, ბასს 2 „მარაგები“-ს უხეში დარღვევაა და მარჯის არარეალური ზრდა, რაც არასასურველია კომპანიისათვის.

**სავაჭრო მოთხოვნები.** შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ს სავაჭრო მოთხოვნები წარმოექმნება საქონლის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევის შესაბამისად. კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე კლიენტების ძირითადი ნაწილი სარგებლობს, მიწოდების შემდგომი ანგარიშსწორების პირობებით. ისეთი სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტებს, ან რომლისთვისაც კომპანია იყენებს პრაქტიკულ გამოცდილებას, ფასდება ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. კომპანიის მენეჯმენტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხანგრძლივი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება მომხმარებელთან. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ახდენს სპეც დანიშნულების ავტომანქანების რეალიზაციას, მომხმარებელბის რაოდენობა საშუალებას იძლევა, მაქსიმალური ინფორმაცია შეგროვდეს თითოეულ მნიშვნელოვან დებიტორზე ინდივიდუალურად. თუმცა საექვო მოთხოვნების პროცენტულობის გაანაგარიშება, არ ხდება ინდივიდუალურად, კონკრეტული წლის პროცენტი გაიანგარიშება,

წინა წლების გადაუხდელი დებიტორული დავალიანებების პროცენტებზე დაყრდნობით. კომპანია საექვო მოთხოვნების გამოთვლის ნეტო რეალიზაციიდან, შესაბამისი პროცენტის ოდენობით. რომელიც აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც ხარჯი, ხოლო ბალანსში შეამცირებს დებიტორულ მოთხოვნებს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესები, რათა უზრუნველყოს მომხმარებლის კრედიტუნარიანობაში ცვლილებების ადრეული გამოვლენა. რაც მოიცავს სესხების დაფარვის და დავალიანებების ვადების სისტემატიურ ანალიზს. მსგავსი ანალიზით ფასდება კლიენტების საკრედიტო რეიტინგი და განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. მსხვილი კლიენტებისათვის, გაუფასურების ანალიზს კომპანია ახორციელებს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებელი ანარიცხების გამოყენებით, ყოველი წლის ბოლოსათვის. დებიტორების რეიტინგის გამოანგარიშების ფაილს აქვს შემდეგი სახე:

დებიტორი	წლიური ბრუნვა	ვადაგადაცილებული ანგარიშსწორება	წილი წლიური ბრუნვიდან	საკრედიტო რეიტინგი	საკრედიტო ლიმიტი
შპს „კუპერი“	7 122 842	1 564 825	22%	7	830 000
შპს „სტარი“	3 010 775	993 340	31%	5	500 000
შპს „ლიზინგი“	1 315 047	118 354	9%	8	350 000

სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთ წელზე მეტი დროით არის ვადაგადაცილებული, არ წარმოადგენს სამართალგამოყენების საგანს და კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფის საგნებს.

**გაცემული ავანსები.** კომპანიის გაცემული ავანსები ძირითადად წარმოდგენილია მომწოდებლისათვის გადახდილი ავანსების სახით, რომელიც გადახდილია ტექნიკის

შესაძენად. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ტექნიკას ყიდულობს იმპორტით, თანხები ირიცხება უცხოურ ქვეყნებში, რაც მნიშვნელოვანია დაბეგვრის კუთხით, 2016 წლიდან დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლის შესაბამისად. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ძირითადი მომწოდებლები არიან კომპანიები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში. კომპანია ასეთ მომწოდებლებთან გადახდილ ავანსებს, ბეგრავს მოგების გადასახადით, რომელსაც შემდგომში იბრუნებს, საქონლის რეალურად მიღების შემდეგ. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი მომწოდებელია SEGREG AUTO FZCO, რომელიც რეგისტრირებულია დუბაიში, დუბაი კი შესულია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების სიაში. დუბაისგან განსხვავებით ამ სიაში არ ფიქსირდება გერმანია, სადაც რეგისტრირებულია „MAN TRUCK & BUS AG“, ერთ-ერთი უმსხვილესი მომწოდებელი, შესაბამისად ამ კომპანიათა გადახდილი ავანსების დაბეგვრა არ ხდება. რაც შეეხება უცხოური იურიდიული ან ფიზიკური პირებისაგან მომსახურების შესყიდვას, კომპანია გადახდის ავანსს ბეგრავს საშემოსავლო გადასახადით. თუმცა აქაც მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომელ ქვეყანაშია რეგისტრირებული კომპანია, რათა თავიდან ავიცილოთ ორმაგი დაბეგვრის პრობლემა. ამისათვის პირველ რიგში, ვამოწმებთ კომპანიის რეგისტრაციის მისამართს, თუ არსებული ქვეყანა შემავალია ორმაგი დაბეგვრის მქონე ქვეყნების სიაში, კომპანიის მენეჯმენტი მიმართავს მას ოფიციალური მეილით და ითხოვს მომწოდებლისაგან რეზიდენტობის ცნობას, რომლის საფუძველზეც მოცემულ მომწოდებელთან გადახდილი თანხები აღარ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. მაგალითად გადამზიდი კომპანია BAYRACTAR, რომელიც რეგისტრირებულია თურქეთში.

გარდა მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსებისა, კომპანიას ასევე აქვს თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები და ავანსად გადახდილი სახელმწიფო გადასახადები. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები შეადგენდა 10 808 000 ლარს.

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.** ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროსა და ბანკში, მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა ვადაც არის სამი თვე ან სამ თვეზე ნაკლები, ასევე საბანკო გარანტიებს. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი სალაროში იყენებს როგორც ლარის ასევე დოლარისა და ევროს ანგარიშებს. ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში არ აღემატება 3000 ლარს. რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, კომპანიას რეგისტრირებული აქვს მრავალი ვალუტა, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი, იენი და სხვა. ბანკში არსებული თანხების თითქმის 70% მობილიზებულია ლარის ანგარიშებზე, ხოლო დანარჩენი 30% გადანაწილებულია სხვადასხვა ვალუტაში. კომპანია ასევე ხშირად იყენებს საბანკო გარანტიებს, რომლებიც კომპანიას ეხმარება მოქნილი მუშაობის რეჟიმის შექმნაში მომწოდებლებთან, საბანკო გარანტიების რაოდენობა დამოკიდებულია კომპანიის მოთხოვნებზე საქონლის შეძენასთან დაკავშირებით. საბანკო გარანტიები, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია იმპორტიორია მხოლოდ უცხოურ ვალუტაში უფიქსირდება. კომპანია ფულსა და მის ექვივალენტებს ძირითადად ფლობს საქართველოს კომერციულ ბანკებში, რომლებსაც „FITCH“-ის და „STANDARD AND POOR'S“-ის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB-რეიტინგი. მიმდინარე ანგარიშებს ერიცხება 1,5%-3,5%.

**ფინანსური ინსტრუმენტები.** ფინანსური ინსტრუმენტებია ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი კომპანიისათვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესათვის ფინანსურ ვალდებულებას.

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებისა და შეფასებისათვის ხელმძღვანელობს საერთაშორისო სტანდარტის ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით.

**ფინანსური აქტივები.** ფინანსური აქტივები, თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით, ხოლო მოგება ან ზარალში რეალური

ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია კომპანიაში განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას, რაც დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სავართავად კომპანიის ბიზნესის მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით ან სამართლიან ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა ჩვეული საქმიანობის პირობებში აღიარდება გარიგების თარიღით. შემდგომი შეფასებისათვის ფინანსური აქტივები იყოფა ოთხ კატეგორიად:

1. ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.
2. ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვებითი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით.
3. ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვებითი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე.
4. ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივების ჯგუფი კომპანიისათვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივს მიაკუთვნებს ამ ჯგუფს, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: ფინანსური აქტივები მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხებზე და ძირითად თანხას. ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგებაში ან ზარალში შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება აქტივის

მოდისციპლინა, გაუფასურება ან წყდება აქტივის აღიარება. მოცემულ ჯგუფში შემავალი კომპანიის ფინანსური აქტივებია სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები.

**გაცემული სესხები.** შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის პოლიტიკით კომპანია გასცემს მხოლოდ მოკლევადიან სესხებს, ძირითადად დამფუძნებელ კომპანიაზე ანუ შპს „თეგეტა მოტორს“-ზე და დაკავშირებულ მხარეებზე, რომლებშიც მოიაზება შპს „თეგეტა მოტორს“-ის ჰოლდინგში შემავალი სხვა კომპანიები. სესხის საპროცენტო განაკვეთად კომპანია იღებს სესხის გაცემის დღეს არსებულ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ განაკვეთს. ერთ ჰოლდინგში შემავალ კომპანიებს შორის სესხების არსებობის ძირითადი არსი, მდგომარეობს იმაში, რომ რეალურად კომპანიები არ უფარავენ ერთმანეთს აღებულ ან გაცემულ სესხს კონკრეტული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სესხის დაფარვა მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოითხოვს დასაბუთებულად სესხად გაცემული თანხის საჭიროებას. ხშირ შემთხვევაში, სესხი აიღება ლარში, თუ სესხის თანხა საგრძნობლად დიდია, რათა არ ჰქონდეს ადგილი კურსთა შორის სხვაობის გამო გამოწვეულ ცვლილებებს, მცირე ოდენობის სესხები, რომლებიც წინასწარ შეთანხმებულ თარიღში იფარება, მაგალითად ერთი თვის ინტერვალით, შესაძლოა იყოს ვალუტაში, როგორც ევროში ასევე აშშ დოლარში. სესხის ასახვა ხდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც ყოველთვის ემთხვევა გადარიცხვის თარიღს. ხოლო ანგარიშწორება ხორციელდება გადადის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. 2018 წლის ბოლოსათვის კომპანიის გაცემული სესხების ოდენობამ შეადგინა 2 212 000 ლარში.

**ფინანსური ვალდებულებები.** ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი შეფასებისას იყოფა შემდეგ კატეგორიებად: მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები და სესხები. თავდაპირველად ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. სესხებსა და მოთხოვნებს აკლდება მათთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომი შეფასება კომპანიაში დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, რაც გულისხმობს ვალდებულების დაყოფას ორ ძირითად კატეგორიად, სესხები და ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები.

სესხების კატეგორია კომპანიისათვის ყველაზე აქტუალურია. სესხების შეფასება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის დისკონტის ან პრემიის, ასევე იმ საფასურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის ნაწილია. ამ მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხა მოცემულია ლარებში) :

სესხები	2018 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები-მიმდინარე წილი	4 084 000
მიღებული სესხები - დარიცხული პროცენტი	40 000
<b>სულ სესხები</b>	<b>4 124 000</b>

შპს თრაქ ენდ ბას“-ის 2018 წლის სესხები შედგება საბანკო სესხისგან რომელიც ლიმიტირებულია 8000000 ლარით (ათვისებული 3 530 000) და შპს „თეგეტა მოტორსი“-გან აღებული სესხებით 554000 ლარი. კომპანია სესხის პროცენტის აღრიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით. პროცენტის დარიცხვისათვის იყენებს შენდეგ მეთოდს, წლის დღეები პროპორციულად განაწილებული საანგარიშო თვეზე, საანგარიშო თვეში დღეების პროპორციულად ხდება პროცენტის დარიცხვა სესხის ათვისებულ თანხაზე. კომპანია სესხის აღიარებას ახდენს თანხის ჩარიცხვის და არა დამტკიცების თარიღით. თუმცა ძირითად შემთხვევებში თარიღები ემთხვევა.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებებში კომპანიისათვის ისეთი კონტრაქტებია, რომლებიც კომპანიისგან მოითხოვს გარანტიის მფლობელისათვის ზარალის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიქმნა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტების პირობების თანახმად გადახდის დაგვიანებით. ფინანსური გარანტიის კონტრაქტები, რომლებიც სასესხო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ კორექტირდება გარანტიის გაცემისათვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯებით. ვალდებულება შემდგომში ფასდება საანგარიშგებო თარიღში არსებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებსა და ამორტიზაციით შემცირებულ აღიარებულ თანხებს შორის უმაღლესი ოდენობით. ფინანსური თავდებობის გარანტია, რომელიც გაცემულია შპს „თეგეტა მოტორს“-ზე აღირიცხება გაუნაწილებელი მოგების შემცირებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარება შეწყდება მაშინ, როდესაც ის ამოიწურება, გაბათილდება ან დაიფარება. ფინანსური ვალდებულებების, ისეთი სახის ჩანაცვლება ან შეცვლა, როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება ან ხდება ვალდებულების ჩანაცვლება იმავე კრედიტორის წინაშე სხვა ვალდებულებით, აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა. განხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ურთიერთჩათვლა, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, მოხდება და თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი ან თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება.

**ანარიცხები.** ანარიცხების აღიარება ხდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების შემცირება ვალდებულების დასაფარად და შესაძლებელია ვალდებულების



თანხების საიმედო. ანარიცხებთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება-ზარალში ანაზღაურების გამოკლებით. ანარიცხების დისკონტირება მიმდინარე დაბეგვრამდე განაკვეთით ხდება. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში აღიარდება.

**საგარანტიო ანარიცხები.** კომპანია გაყიდულ პროდუქციაზე გასცემს გარანტიებს, რემონტსა და დეფექტური ნაწილების გამოცვლაზე. შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი საკუთარ მომხმარებლებს, ზუსტად იმ რაოდენობის წლებს სთავაზობს საგარანტიო პერიოდად, რამდენსაც თავად იღებს მისი მომწოდებლისაგან. კონკრეტულად რომ ვთქვათ, „MAN TRUCK & BUS AG“-საგან შეძენილი სატვირთო ავტომობილის საგარანტიო მომსახურების ვადა თუ შეადგენს 1-3 წელს, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის მიერ მომწოდებლისათვის საგარანტიო პერიოდიც, მოცემულ ავტომობილზე იქნება 1-3 წლამდე. საგარანტიო პერიოდის სიდიდე დამოკიდებულია, როგორც ავტომობილის მოდელზე, ასევე მის ნაწილებზე და სხვა მონაცემებზე. კომპანია პროგრამულად აწარმოებს გარანტიაზე მყოფი ავტომობილების აღრიცხვას, რომლის მიხედვითაც ავსებს საჭირო ინფორმაციას „MAN TRUCK & BUS AG“-ს წარმომადგენლისათვის გადასაგზავნად, საჭიროების შემთხვევაში. საგარანტიო შემთხვევის დადგომისას, მომხმარებლის ავტომობილს მომსახურებას მთლიანად საკუთარ თავზე იღებს კომპანია. ამის შემდეგ, ხდება კომუნიკაცია მომწოდებელთან, ამ შემთხვევაში „MAN TRUCK & BUS AG“-სთან, რომელიც სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, კომპანიას უგზავნის, საგარანტიო ხარჯის შესაბამისი თანხის ოდენობის კრედიტ ნოტას.

მაგალითად:

1. კომპანიამ შეიძინა სატვირთო ავტომობილი MAN 18.280 50809 ევროდ.

*დებეტი*

*კრედიტი*

*1610 საქონელი - 50809ევრო*

*3110 მოწ. წარმოქმ ვალდებ- 50809ევრო*

2. კომპანიამ გაყიდა სატვირთო ავტომობილი MAN 18.280 – 64350 ევრო.

*დებიტი*

*კრედიტი*

*1410 მოთხ. მიწოდებ - 64350ევრო*

*6110 შემოსავალი რეალიზ - 64350ევრო*

3. საგარანტიო მოთხოვნის აღიარება “MAN TRUCK & BUS AG”-ს მიმართ.

*დებიტი*

*კრედიტი*

*1410 მოთხ.საგარ.მიწოდ - 350 ევრო*

*6110 შემოსავალ.საგარ.მომს - 350ევრო*

4. „MAN TRUCK & BUS AG”-საგან კრედიტ ნოტის მიღება.

*დებიტი*

*კრედიტი*

*3110 მოწ. წარმოქმ ვალდებ- - 350 ევრო*

*1410 მოთხ. მიწოდებ - 350ევრო*

„MAN TRUCK & BUS AG”-ს მიერ კომპანიისათვის გადმოცემული კრედიტ ნოტები ორი სახისაა. საგარანტიო კრედიტ ნოტები, რომლებიც გადაეცემა კომპანიას, საგარანტიო ხარჯის გაწევის შემთხვევაში. საგარანტიო კრედიტ ნოტები, როგორც უკვე ვახსენეთ ამცირებს კომპანიის ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კომპანიას არ აღენიშნება ვალდებულება მომწოდებლის წინაშე, ამიტომ კრედიტ ნოტაში მითითებულს თანხას კომპანია აღიარებს, როგორც ავანსს. კომპანიას აქვს ვალდებულება „MAN TRUCK & BUS AG”-ს მიმართ, ყოველწლიური, ეგრედ წოდებული, გეგმის სახით, რომელშიც მითითებულია სასურველი წლიური რეალიზაციის ოდენობა. თუ კომპანიამ შეძლო გეგმის გადაჭარბებულად შესრულება, „MAN TRUCK & BUS AG” გადასცემს მას სავაჭრო კრედიტ ნოტას, ზენორმატიული თანხის 50% - ის ოდენობით. კომპანია სავაჭრო კრედიტ ნოტას სურვილისამებრ იყენებს, იტოვებს ავანსად ან ფარავს მისთვის სასურველ

ვალდებულებებს და არა კონკრეტულ ინვოისებს, როგორც საგარანტიო კრედიტ ნოტების შემთხვევაში. საგარანტიო კრედიტ ნოტა იბეგრება დღგ-ს განაკვეთით, ხოლო სავაჭრო კრედიტ ნოტის დაბეგვრა არ ხდება.

**კაპიტალი.** შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წედებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი არის ჩადებული კაპიტალის ნომინარული ღირებულება. როგორც მიმდინარე, ასევე წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას თუ ზარალს შეიცავს, აკუმულირებული მოგება-ზარალი. ასევე კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება საწესდებო კაპიტალის ზრდა და შემცირება.

დივიდენდებს რაც შეეხება, ისინი აღირიცხება როგორც ვალდებულება მათი გამოცხადების პერიოდში. დივიდენდების გამოცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ კომპანიის მფლობელები. კომპანიის მფლობელებისათვის, დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით არსებული გადასახადი აღარებულა, კაპიტალიდან გამოქვითვით, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. 2018 წელს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-მა გამოაცხადა დივიდენდები, არსებული პარტნიორებისათვის 1 700 000 ლარი.

## დასკვნა

ნაშრომში აღწერილია შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პოლიტიკა. ნაჩვენებია კომპანიის აღრიცხვის მეთოდები განსხვავებულ ხარჯებსა და აქტივებთან მიმართებაში, ასევე ის წესები და მიდგომები რომლებსაც კომპანია იყენებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების პროცესში. ნაშრომი ეყრდნობა შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ის 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ მონაცემებსა და ინფორმაციას. კომპანია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და განვითარებადი კომპანიაა, ამიტომ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი ინფორმაცია კომპანიისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებით ასპექტში მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად, თუმცა არის საკითხები, რომლებიც სტანდარტს არ შეესაბამება. კერძოდ, კომპანია არ ატარებს ძირითადი საშუალებების გაუფასურებაზე ტესტირებას, რაც ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულების, ძირითადი საშუალებების მქონე კომპანიისათვის, როგორც შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“-ია არის საყურადღებო საკითხი, ვინაიდან ზოგიერთ ძირითად საშუალებებს აქვს გაუფასურების ნიშნები. ტესტირება გაუფასურებაზე უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებების შესახებ სამართლიანი და ობიექტური ინფორმაციის წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში. ვფიქრობ, რომ არასწორია კომპანიის პოლიტიკა ძირითად საშუალებებთან მიმართებაში, როდესაც გამოყენების ვადის განსაზღვრის დროს, კეთდება დაშვება, რომ მათი ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება ნულის ტოლია. ეს ასე ვერასოდეს პრაქტიკულად ვერ იქნება, მათ ყოველთვის აქვთ გარკვეული ღირებულება.

კომპანიას აქვს არამატერიალური აქტივი პროგრამული უზრუნველყოფა SAP ERP-ს სახით. კომპანიისათვის აღნიშნული პროგრამის გამოყენება და განახლება (გაუმჯობესება) საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომლებიც პერიოდის ხარჯებს მიეკუთვნება და მოგება-ზარალში აისახება. თუმცა ჩვენნი აზრით ეს ხარჯი

გამართლებულია, რადგან პროგრამა კარგად მორგებულია კომპანიის სტრუქტურასა და პოლიტიკაზე, მას თითქმის არ აქვს ხარვეზები და შეფერხებები ექსპლუატაციაში. ასევე უდიდესი უპირატესობა რაც აქვს კომპანიაში SAP ERP-ს არსებობას, არის ის რომ, თითქმის ყველა შპს „თეგეტა მოტორსი“-ს შვილობილ კომპანიაში დანერგილია აღნიშნული პროგრამა, რაც საშუალებას აძლევს, კომპანიის ნებისმიერ თანამშრომელს, შესაბამისი უფლებების მინიჭების შემდეგ, ოპერაციებს თვალი ადევნოს მთლიანად შპს „თეგეტა მოტორსი“-ს პოლდინგში შემავალი კომპანიების ჭრილში.

მარაგების აღრიცხვა ასევე სტანდარტების შესაბამისად ხდება, კონკრეტულად, ბასს 2 „მარაგები“ მიხედვით. თვითღირებულებაში მიკუთვნებული ხარჯები აკმაყოფილებენ თვითღირებულების კომპონენტების განმარტებებს სტანდარტის მიხედვით. ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა იმპორტირებული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტების შესაბამისი დოკუმენტაციის ორიგინალი საბუთების მოძიებას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ავანსად გადარიცხული თანხები, რადგან არასწორი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა მოხდეს თვითღირებულების არარეალურად გადიდება ან პირიქით შემცირება. კომპანიას არ შეეყვას საქონლის თვითღირებულებაში სასაწყობო ხარჯები, რაც არასწორია. ასევე არარის შემუშავებული მკაცრი კონტროლის სისტემა საქონლის გადაადგილებისათვის დამატებითი ხარჯების კონტროლისათვის.

კომპანიის მენეჯმენტის ძირითადი ყურადღება ორიენტირებულია კომპანიის შემოსავალზე, შესაბამისად თითქმის უხარვეზოდ ხდება დებიტორების აღრიცხვა, შესაბამისი ღონისძიებების გატარება და კონტროლი.

რაც შეეხება ფინანსურ ვალდებულებებს, ყველა კომპანია რაღაც პერიოდში სარგებლობს სესხებით, შპს „თრაქ ენდ ბას“-იც არარის გამონაკლისი. კომპანიას არ აქვს არცერთი სესხი გრძელვადიანი. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის სესხების რაოდენობამ, როგორც მიმდინარე ნაწილმა, ასევე პროცენტმა შეადგინა ჯამში 4 124 000 ლარი. ამავე თარიღისათვის ფული და ფულადი ეკვივალენტები შეადგენს 14 190 000 ლარს, რასთან შეფარდებითაც

ხესხები წარმოადგენს 29%-ს. რაც შპს „თეგეტა თრაქენდ ბას“-ის სიდიდსა და ბრუნვის მქონე კომპანიისათვის შესაძლოა იყოს არა არსებითი, მაგრამ საყურადღებო.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. 2020
2. ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. 2015
3. ბასს 2 „მარაგები“.2015
4. ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“. 2015
5. ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“. 2015
6. ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“. 2015
7. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. 2019
8. ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“.
9. ფასს 16 „იჯარა“. 2019
10. თ. დოლიაშვილი; გ. ლილუაშვილი - ბუღალტრული აღრიცხვა. 2015
11. ე. ხარაბაძე - ფინანსური აღრიცხვა. 2013
12. ლ.საბაური; ნ.კვატაშიძე; ნ.სრესელი - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში. 2017
13. შპს „თეგეტა თრაქ ენ ბას“ არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება. 2018
14. <http://aaf.ge/>
15. <https://mof.ge/>
16. <https://www.adnavem.com/>
17. <http://bbi.ge/>